საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 19 00068624

11/01/2019

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
- "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" ფაქტ-მეტრის
მთავარ რედაქტორს დავით ქუტიძეს

ელექტრონული ფოსტის მისამართი: kvatadzemariam@gmail.com

ბატონო დავით,

2019 წლის №228 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის უზრუნველყოფილია უწყვეტი სამედიცინო მომსახურება. იზოლატორებში, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის პერსონალის მიერ. ხოლო, იმ იზოლატორში, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად და შემდგომში ნებისმიერი საჭიროების არსებობისას, ხდება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

2012-2016 წლებში სამედიცინო პუნქტები ფუნქციონირებდა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორსა (სამმართველო) (ე.წ. მოდულის იზოლატორი) და ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამმართველო). ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამმართველო) მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო მომსახურებას მოცემული პერიოდისთვის ახორციელებდა დეპარტამენტში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი, ხოლო ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამმართველო) მოთავსებულ პირთათვის დროულ და უწყვეტ სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფდა ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ სადღეღამისო სამედიცინო პუნქტში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

2015 წლის ოქტომბერში, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში შეიქმნა სამედიცინო მომსახურების სამსახური, სადაც ეტაპობრივად დასაქმდა სამედიცინო პერსონალი. 2016 წელს სამედიცინო პუნქტების გახსნა მოხდა დამატებით 6 რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო მანამდე 2 იზოლატორში არსებული სამედიცინო პუნქტები გადმოვიდა დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის დაქვემდებარებაში.

2017 წელს ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო) გადაეცა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

2018 წლის დასაწყისში, სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდას. ახალი სამედიცინო პუნქტების გახსნა დაიწყო 2018 წლის ოქტომბრიდან და წლის განმავლობაში სამედიცინო პუნქტები დაემატა 8 დროებითი მოთავსების იზოლატორს. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული 29 მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს 15 იზოლატორში.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2019 წლის პირველ ნახევარში სამედიცინო პუნქტები კიდევ 8 იზოლატორში გაიხსნება. ხოლო, 6 იზოლატორში (ზემოაღნიშნულ იზოლატორებში ხდება ქვეყნის მასშტაბით მოთავსებულ პირთა 3%-ზე ნაკლების მოთავსება) მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურება კვლავაც სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადების დახმარებით გაგრძელდება, იზოლატორებისათვის სამედიცინო პერსონალის მოძიების პერიოდამდე.

რაც შეეხება, ინფორმაციას იზოლატორების სამედიცინო პუნქტების შესახებ (წლების მიხედვით), წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
გიორგი სახოკია

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოქმედი სამედიცინო პუნქტები						
2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო)	ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო)	ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო)	ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო)	ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო), ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორი, რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, გორის დროებითი მოთავსების იზოლატორი.	ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი, (ფუნქციონირებ და 2017 წლის 24 ივლისამდე) ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო), ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორი, რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, გორის დროებითი მოთავსების იზოლატორი.	ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (სამმართველო), ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორი, რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი, გორის დროებითი მოთავსების იზოლატორი, მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ფოთის დროებითი მოთავსების იზოლატორი, საგარეჯოს დროებითი მოთავსების

						იზოლატორი, ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორი ჩხოროწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორი ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორი